კვლევის ძირითადი მიზნები:

- საქართველოს საჯარო დაწესებულებების გამჭვირვალობის ხარისხის ამაღლება;
- ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ხელშეწყობა;
- საქართველოში ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება;
- საქართველოში ელექტრონული მმართველობისა და ელექტრონული გამჭვირვალობის განვითარება.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ოფიციალური ვებ-გვერდის (www.mrdi.gov.ge) საინფორმაციო გამჭვირვალობისა და ელექტრონული მმართველობის შეფასებითი მონიტორინგი

2011 წლის 12 ივლისი

ყველა უფლება დაცულია

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

ა. მაჭავარიანის ქ. №4, ბინა1. 0179. საქართველო, თბილისი.

Tel: +995322 996364.

www.idfi.ge / www.opendata.ge

info@idfi.ge

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

www.mrdi.gov.ge

გამოვლენილი ძირითადი ხარვეზები და რეკომენდაციები




ინფორმაციის არსებობა ვებ-გვერდზე
წარმოდგენილი ინფორმაციის ხარისხი
1. ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ
40,00%
81,75%
2. საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა
30,77%
43,75%
3. მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ
40,00%
18,50%
4. ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები
48,15%
23,77%
5. სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა
39,13%
25,56%
6. საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას
7,14%
19,00%
7. ს-დ საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები
0,00%
0,00%
8. საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა
0,00%
0,00%
9. საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)
12,50%
18,00%
0,00%
20,00%
40,00%
60,00%
80,00%
100,00%

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ვებ-გვერდზე არ მოიძიება:

- **ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ**

1. სამინისტროს ვებ-გვერდზე არსებულ ქვე-განყოფილებაში - ,,მინისტრი" სასურველია მოყვანილ იქნეს იმ საჯარო თანამდებობის პირზე მითითება, რომელიც კანონმდებლობის თანახმად ნიშნავს და ათავისუფლებს თანამდებობიდან მინისტრს. სამინისტროს მოქმედი დებულების თანამად: „მინისტრს თანამდებობაზე ნიშნავს საქართველოს პრემიერ-მინისტრი საქართველოს პრეზიდენტის თანხმობით. მინისტრი უფლებამოსილებას იხსნის საქართველოს პრეზიდენტის წინაშე. მინისტრის საქმიანობას კოორდინაციასა და კონტროლს უწევს საქართველოს პრემიერ-მინისტრი, რომელიც უფლებამოსილია თანამდებობიდან გაათავისუფლოს მინისტრი" როგორც ირკვევა, მინისტრის თანამდებობა საკმაოდ მნიშვნელოვან სახელმწიფო სტატუსს ატარებს, რაზედაც აუცილებლად უნდა იყოს მცირე ინფორმაციული ხასიათის აღწერა. ამავე ქვე-განყოფილებაში სასურველია მოიძიებოდეს მინისტრის კომპეტენციის აღწერაც.

2. ვებ-გვერდზე არ მოიძიება მინისტრის არცერთი საკონტაქტო რეკვიზიტი: სამუშაო ელ-ფოსტა, მისაღების (თანაშემწის) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები:

მინისტრი: **რამაზ ნიკოლაიშვილი**
დაბადების თარიღი: 1965 წლის 17 ივნისი
დაბადების ადგილი: ქ. თბილისი
ოჯახური მდგომარეობა: ჰყავს მეუღლე და სამი შვილი
უცხო ენები: რუსული, ინგლისური

განათლება
1983 - 1990 საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა, ინჟინერ-მშენებელი;
1995 - 1997 თბილისის ი. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ფინანსები და კრედიტები, ეკონომისტი;
2000 - 2003 თბილისის ი. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სამართალმცოდნეობა, იურისტი.

3. ვებ-გვერდზე არ მოიძიება მინისტრის მოადგილეთა არცერთი საკონტაქტო რეკვიზიტი: სამუშაო ელ.ფოსტა, მისაღების (თანაშემწის) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები და აგრეთვე არ მოიძიება ყველა მოადგილის კომპეტენციის აღწერა:



4. განყოფილება ,,სამინისტროს შესახებ", ქვე-განყოფილება ,,მინისტრის მოადგილეები" საჭიროებს დახვეწას. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად მინისტრს ჰყავს 3 მოადგილე (მათ შორის, ერთი პირველი), შესაბამის ქვე-განყოფილებაში მოცემულია ინფორმაცია სამიდან ორი მოადგილის შესახებ, ამასთან სასურველია ქვე-განყოფილებას დაემატოს ინფორმაცია მესამე მოადგილის შესახებ, რომლის ბმულზეც გადასვლისას, იმ შემთხვევაში, თუ თანამდებობა ვაკანტურია მოყვანილი იქნება შემდეგი ინფორმაცია: ,,თანამდებობა დაკავებული არ არის", ,,მოადგილე ჯერ არ დანიშნულა" ან *მისთ.*

5. ვებ-გვერდზე არ მოიძიება საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საფოსტო მისამართი (საფოსტო ინდექსზე მითითებით), ფაქსის ნომერი, შენობის მდებარეობის აღმნიშვნელი რუკა, ფიზიკური და იურიდიული პირების მიღების და მათთან მუშაობის გრაფიკი და ვებ-გვერდის ოფიციალურობის დამადასტურებელი წერილობითი აღნიშვნა:

6. ვებ-გვერდზე არ მოიძიება საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მმართველობის სფეროს/ამოცანების აღწერა და სამინისტროს დაფუძნების თარიღიდან მოყოლებული დეტალური საქმიანობის ისტორია;

7. განყოფილებაში „დაგვიკავშირდით" არ მოიძიება საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სისტემის ერთიანი სარეკვიზიტო ცნობარი (ყველა სტრუქტურული ერთეულის, სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული უკლებლივ ყველა

საჯარო სამართლის იურიდიული პირის და სამინისტროს გამგებლობაში არსებული საქვეუწყებო დაწესებულებების სატელეფონო ცნობარი, ელ. ფოსტა, საფოსტო მისამართი და ფაქსის ნომრები):



ადმინისტრაციული დეპარტამენტი

სამინისტროში საბუღალტრო აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების, სამინისტროს საბიუჯეტო სახსრებისა და სამუალებების დაგეგმვის უზრუნველყოფა; სამინისტროს ერთიანი ბიუჯეტის შემუშავება და მისი აღსრულების კოორდინაცია; სახელმწიფო ბიუჯეტიდან სამინისტროსთვის გამოყოფილ ასიგნებათა ფარგლებში სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების უზრუნველყოფა "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად; საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის განხორციელება; სამინისტროს კომპიუტერული ქსელის სისტემების ადმინისტრირება და მართვა; სამინისტროში არსებული საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; საქმისწარმოების ერთიანი წესების შესაბამისად სამინისტროში შემოსული ოფიციალური კორესპონდენციის დამუშავებისა და დოკუმენტბრუნვის უზრუნველყოფა; საიდუმლო საქმისწარმოების განხორციელება; საჯარო მოსამსახურეთა პირადი საქმეების წარმოება, ატესტაციების ორგანიზება და ატესტაციის შედეგების ასახვა პირად საქმეებში.

ალ.ყაზბეგის 12

+995 32 510611

+995 32 510725



სამინისტროს შესახებ

მინისტრის აპარატის დებულება

მინისტრის აპარატი

მინისტრის ორგანიზაციული და ადმინისტრაციული საქმიანობის უზრუნველყოფა; სამინისტროს სტრუქტურული ერთეულების, საქვეუწყებო დაწესებულებებისა და სხვა ორგანოების საქმიანობის კოორდინაციაში მონაწილეობა; სამინისტროს სათათბირო ორგანოების სხდომებისა და მინისტრის მიერ დანიშნული სხვა თათბირების გამართვის ორგანიზება და სხდომის ოქმის წარმოება; მინისტრის ცალკეული დავალებების შესრულება

ალ.ყაზბეგის 12
+995 32 282210

- **საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა**

8. განყოფილებაში „სამინისტროს შესახებ“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „სტრუქტურა“ სტრუქტურულ ხეზე და აგრეთვე სტრუქტურული ერთეულების ჩამონათვალში არ მოიძიება ინფორმაცია ფინანსების მართვის დეპარტამენტის შესახებ. ვებ-გვერდზე არსებულ სტრუქტურულ ხეზე მოყვანილია მობილიზაციისა და სამხედრო სამსახურში გაწვევის კოორდინაციის სამსახურის არასწორი სახელწოდება (უნდა იყოს - მობილიზაციისა და სამხედრო სამსახურში გაწვევის კოორდინირების სამსახური). სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების დასახელება - „საავტომობილო გზების დეპარტამენტი“ ანალოგიურად საჭიროებს დახვეწას (უნდა იყოს - „საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი“). ამასთან, მუნიციპალური განვითარების ფონდს სასურველია თან ერთვოდეს აღნიშვნა - „(სსიპ)“:



9. ვებ-გვერდზე არ მოიძიება საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა სახელები და გვარები, ფოტოსურათები, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, კომპეტენციის აღწერა და საკონტაქტო რეკვიზიტები: სამუშაო ელ.ფოსტები, მისაღების (თანაშემწეების) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები.

10. ვებ-გვერდზე არ მოიძიება საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სტრუქტურული ერთეულების (გარდა საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურისა) ელექტრონული ფოსტის მისამართები.

11. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან სატელეფონო კავშირის შედეგად გაირკვა, რომ სამინისტროს გააჩნია მოქმედი სათათბირო ორგანო - სათათბირო საბჭო, შესაბამისად სასურველია ვებ-გვერდზე შესაქმნელ განცალკევებულ (ქვე-)განყოფილებაში მოიძიებოდეს შემდეგი სახის ინფორმაცია:

- სათათბირო საბჭოს ხელმძღვანელების სახელები და გვარები, ფოტოსურათები და ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები;

- სათათბირო საბჭოს სტრუქტურა და შემადგენლობა;

- სათათბირო საბჭოს სხდომების ოქმები და აგრეთვე სხდომებზე მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ ინფორმაციული ხასიათის ცნობები.

➢ **მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ**

12. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ვებ-გვერდზე არ არის მოცემული რიგი მნიშვნელოვანი მონაცემთა ბაზებისა, კერძოდ: საერთაშორისო და ადმინისტრაციული ხელშეკრულებები, ვაკანსიათა არქივი, სტატისტიკური მონაცემები, ფინანსური ხასიათის მაჩვენებლები, სამინისტროს საქმიანობის ამსახველი ანგარიშები *და ა.შ.*

13. სამინისტროს მოქმედი დებულების მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად მინისტრის სხვა ფუნქციებს შორისაა:

- ,,საავტომობილო გზების შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილ ვადაში საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ნუსხის საქართველოს პრეზიდენტისათვის დასამტკიცებლად წარდგენა (სასურველია საიტზე ხსენებული გზების ნუსხის განთავსება, ინფორმაციის არსებობის პირობებში);

- საქართველოს თავდაცვის მინისტრთან ერთობლივი ბრძანებით უფლებამოსილი თანამდებობის პირის მიერ ხელმოწერილი საფრენოსნო დავალების ფორმისა და მისი შევსების წესის დამტკიცება (სასურველია საიტზე ხსენებული ფორმისა და წესების განთავსება, ინფორმაციის არსებობის პირობებში);

14. ვებ-გვერდზე არსებული განყოფილება „რეგიონული განვითარების რეფორმა" ცარიელია, ხოლო მთავარ გვერდზე, მარცხენა დაბალ კუთხეში მოცემული ,,საქართველოს რეგიონული განვითარების 2010-2017 წწ. სახელმწიფო სტრატეგიის" ბმულზე გადასვლისას მოცემულია აღნიშნული სტრატეგიის შესაბამისი დოკუმენტი, რომლის ვრცლად გაშლის ფუნქციაც სათანადოდ არ მუშაობს;

15. არ მოიძიება შემოსული/გასული კორესპონდენციის რეგისტრი.

- **ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები**

16. ვებ-გვერდზე არ მოიძიება მინისტრის მოადგილეთა გამოსვლების, განცხადებების, ბრიფინგების ტექსტები და ცნობები მათი ოფიციალური/სამუშაო ვიზიტების შესახებ.

17. ვებ-გვერდზე არ მოიძიება საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქმიანობის ამსახველი ერთიანი წლიური ანგარიში.

18. ვებ-გვერდზე არ მოიძიება მონაცემები იმ ძირითადი მაჩვენებლების შესახებ, რომლებიც ასახავენ სამინისტროს საქმიანობის ძირითად სფეროებში არსებულ სიტუაციასა და მათ განვითარების დინამიკას. აგრეთვე არ მოიძიება საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ შეგროვებული და დამუშავებული ოფიციალური სტატისტიკური ინფორმაცია.

19. საჭიროა ვებ-გვერდზე განცალკევებულად არსებობდეს ქვე-განყოფილებები ,,საერთაშორისო პარტნიორობა" და „პარტნიორობა საქართველოს ორგანიზაციებთან", სადაც მოყვანილი იქნება პარტნიორობის შესაბამისი ტექსტური ინფორმაციული აღწერა და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს პარტნიორ ორგანიზაციათა ვებ-გვერდების ბმულები.

20. ვებ-გვერდზე არ მოიძიება იმ პროგრამებისა და პროექტების ჩამონათვალი და შესრულების შესახებ (ყოველწლიური) მოხსენებები, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო.

- **სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა**

21. მართალია ვებ-გვერდზე არსებობს განყოფილება „კანონმდებლობა", მაგრამ მასში განთავსებული სამართლებრივი აქტების რაოდენობა ძალზედ მწირია. ამასთან, ქვე-განყოფილებაში „საკანონმდებლო აქტები" განთავსებული ყველა სამართლებრივი აქტი მოცემულია ძველი მდგომარეობით. ვებ-გვერდზე არ მოიძიება საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქმიანობის (მმართველობის) სფეროსთან დაკავშირებული საქართველოს პრეზიდენტის სამართლებრივი აქტები და აგრეთვე სამართლებრივი აქტების პროექტები. ვებ-გვერდზე არ მოიძიება საქართველოს კონსტიტუციაც.

აღსანიშნავია ისიც, რომ ქვე-განყოფილებაში ,,ბრძანებები“ მოყვანილი, რიგით პირველი სამართლებრივი აქტის გასახსნელი ბმული (საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ტერიტორიული ორგანოს – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საავტომობილო გზების დირექციის დებულების დამტკიცების შესახებ) არ მუშაობს:



- **საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას**

22. საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ვებ-გვერდზე არ მოიძიება ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მიმართვათა მიმოხილვა, ფიზიკურ და იურიდიულ პირთა ზოგად საკითხებთან დაკავშირებულ მიმართვათა საჯარო დაწესებულებაში მიღების წესის აღწერა.

23. ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქმიანობის შესახებ, რომელიც დაკავშირებულია ინფორმაციის თავისუფლებასთან / საჯარო ინფორმაციის ღიაობასთან: ვებ-გვერდზე არ არსებობს საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებული განცალკევებული განყოფილება. არ მოიძიება საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურის ვინაობის (სახელი და გვარი), თანამდებობისა და საკონტაქტო რეკვიზიტების შესახებ ინფორმაცია, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებათა გასაჩივრების შესახებ ცნობები და სამინისტროში შესული საჯარო ინფორმაციის გაცემასა და გაცემის მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია. აგრეთვე ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივრისა და საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის ჩამოსატვირთი ფორმები/ნიმუშები.

- **საჯარო დაწესებულების საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები**

24. განყოფილება ,,ტენდერები“ შემოიფარგლება მხოლოდ სამინისტროს გამგებლობაში არსებულ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საავტომობილო გზების დეპარტამენტის, სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული

პირის - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის და საქართველოს გაერთანებული წყალმომარაგების კომპანიის ვებ-გვერდების ტენდერების განყოფილებაზე გადასასვლელი ბმულებით. შესაბამისად, ვებ-გვერდზე არ მოიძიება ინფორმაცია სამინისტროს მიერ გამოცხადებულ ტენდერებისა/განხორციელებულ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ.

25. საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ვებ-გვერდზე არ მოიძიება ადმინისტრაციულ ხელშეკრულებათა ბლოკი/განყოფილება, სადაც მოყვანილი იქნებოდა სამინისტროსა და ფიზიკურ/იურიდიულ პირებს შორის, აგრეთვე სამინისტროსა და სხვა საჯარო დაწესებულებას შორის გაფორმებულ ადმინისტრაციულ (სამოქალაქო/სამართლებრივ) ხელშეკრულებათა ჩამონათვალი და პირობები.

- **საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა**

26. ვებ-გვერდზე არ არსებობს განყოფილება „ვაკანსიები", რომელშიც მოყვანილ იქნებოდა საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროში ვაკანტურ თანამდებობათა და ვაკანტურ თანამდებობაზე მისაღები კანდიდატისათვის წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნების ჩამონათვალი, საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის ჩატარების წესი, საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის შედეგები (სამინისტროს მიერ კანდიდატთა პერსონალური მონაცემების ვებ-გვერდზე განთავსების საფუძვლებზე (თანხმობის მიღება) მითითებით, საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის პროცედურებისა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების წაყენების, მათი ადმინისტრაციული წარმოების გზით გასაჩივრების წესის აღწერა და ა.შ.:

- **საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)**

27. ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი ფინანსური ხასიათის ინფორმაცია:

- არ მოიძიება სამინისტროსათვის გამოყოფილი სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების შესახებ ინფორმაცია;

- არ მოიძიება სამინისტროს ბიუჯეტის შესრულების ბალანსისა და ბიუჯეტის ასიგნებების ხარჯვის შესახებ ზოგადი ინფორმაცია;

- არ მოიძიება საჯარო სამსახურებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელი თანამდებობის პირთა ჩამონათვალი და საშტატო განრიგი/სამინისტროს კონკრეტულ საშტატო ერთეულზე გათვალისწინებული ფინანსური განაკვეთების შესახებ ინფორმაცია;

- არ მოიძიება სამინისტროს სრული სისტემის თანამშრომლებზე გაცემული ხელფასების, დანამატების და დარიცხული პრემიების წლიური ოდენობების შესახებ ინფორმაცია (კონკრეტულ პირთა ვინაობაზე მითითების გარეშე);

- უცხო სახელმწიფოთა მთავრობების, საერთაშორისო ორგანიზაციების, სხვა დონის სახელმწიფო ერთეულების მიერ საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროსათვის გამოყოფილი ფინანსური დახმარების (გრანტები) ხარჯთაღრიცხვა.

შეფასება ვებ-გვერდის ელექტრონული კომპონენტის მიხედვით:




ვებ-გვერდის ელ-მმართველობის ხარისხი
ტექნიკური პარამეტრის არსებობა ვებ-გვერდზე
1. ნავიგაცია
66,67%
2. ძიება
40,00%
3. მარტივად აღქმის კრიტერიუმები
50,00%
4. საკონტაქტო ფორმები და წესები
50,00%
5. ვებ-კონტენტის ხელმისაწვდომობა
40,00%
6. ადაპტაცია მობილურ კავშირგაბმულობასთან WAP
0,00%
7. სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი
52,63%
8. ინტეგრაცია სოციალურ ქსელებთან
0,00%
9. ელექტრონული ჩართულობა
0,00%
10. ელექტრონული სერვისები
18,18%
11. უნარშეზღუდული მომხმარებლებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
0,00%
12. უსაფრთხოება
66,67%
13. დამატებითი მნიშვნელოვანი პარამეტრები
50,00%
0
0,1
0,2
0,3
0,4
0,5
0,6
0,7

- **ნავიგაცია**

ვებ-გვერდზე არსებობს ასეთი კატეგორია „რეგიონები“, სადაც აწყობილია საქართველოს რუკა და მომხმარებელს შეუძლია რეგიონების მიხედვით მოიძიოს შესაბამისი ინფორმაცია:



თუმცა, თუ შევხედავთ თბილისს, მასზე „მაუსის“ მიტანა საკმაოდ რთულია, რადგან რაც უფრო ვუახლოვდებით მას მით უფრო იზრდება გარშემო მყოფი რეგიონების ზომა და თბილისის მონაკვეთი თითქმის იფარება. ეს გაუთვალისწინებელი ხარვეზია, რომელიც აუცილებლად უნდა გამოსწორდეს.

- **ძიება**

უშედეგო ძიების შემდგომ ვებ-გვერდზე აღნიშნულია რომ ვიმყოფებით არქივის გვერდზე და არა ძიების გვერდზე და რაც მთავარი არანაირი ინფორმაცია არ არის იმის შესახებ, რომ ინფორმაცია ვერ მოიძებნა. ძიებასთან დაკავშირებულ ნებისმიერ მოქმედებაზე, მომხმარებელმა უნდა მიიღოს შესაბამისი ახსნაგანმარტება:



ასევე უნდა აღინიშნოს ის დეტალი, რომ თუ ინფორმაცია მოიძებნა და იგი ვებ-გვერდზე წარმოდგენილია საკმაოდ დიდი ჩამონათვალით, ყველა მოძიებული შედეგი გამოდის ერთ გვერდზე, რაც იწვევს გვერდის ჩატვირთვის სიჩქარის დაცემას და ართულებს მასზე ნავიგაციას:



➢ მარტივად აღქმის კრიტერიუმები

ვებ-გვერდის ყველა დეტალზე გამოყენებულია „ჩრდილები“, ხშირად ზედმეტი რაოდენობით, ასეთი შუქ-ჩრდილები მნიშვნელოვნად ართულებს ტექსტის წაკითხვას.

ვებ-გვერდზე არსებობს ვიდეო მასალა, რომლის გახსნასთან ერთად ვებ-გვერდი გვთხოვს სპეციალურ დამატებით პროგრამულ უზრუნველყოფას. ვიდეო მასალა აუცილებლად უნდა იყოს FLV ფორმატის, რომელსაც თავისუფლად წაიკითხავს ნებისმიერი Flash Player-ის ვერსია:

➢ საკონტაქტო ფორმები და წესები

ვებ-გვერდზე არ არის მითითებული სტანდარტული ფონტი, შედეგ ად „ბრაუზერ“ ოპერაში გვერდი სხვა ფონტი იტვირთება:



საკონტაქტო ფორმით წერილის გაგზავნის დამადასტურებელი აღნიშვნა მოცემულია მკრთალ ფორმატში და ამავე დროს გვერდის ქვედა ბოლოში რაც ართულებს მის შემჩნევას:



- **ინტეგრაცია სოციალურ ქსელებთან**

ვებ-გვერდზე Facebook-ის ღილაკზე დაჭერით გადავდივართ მინისტრ რამაზ ნიკოლაიშვილის გვერდზე და არა სამინისტროს გვერდზე:

სამინისტროს ვებ-გვერდზე ინტეგრირებული Facebook-ის გვერდი აუცილებლად უნდა იყოს საჯარო დაწესებულების შესახებ და არა რომელიმე მინისტრის ან საჯარო პირის შესახებ.

ვებ-გვერდის ზოგადი შეფასება

ვებ-გვერდზე არ არის გათვალისწინებული თანამედროვე სტანდარტები და ტენდენციები. საჭიროა ვებ-გვერდის მოდერნიზება თანამედროვე ტექნოლოგიების გათვალისწინებით და მისი სოციალურ ქსელებთან უფრო საფუძვლიანი ინტეგრირება.